მარიამ აბესაძე

კაუნასის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,მაისის თვეში Erasmus + ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, ვიმყოფებოდი კაუნასის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ლიეტუვა (Kauno Kolegija, University of Applied Sciences, Lithuania) ვიზიტის მიზანს საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში მონაწილეობა წარმოადგენდა, რომელიც 18 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 51 ადმინისტრაციულ და აკადემიური პერსონალს აერთიანებდა.

კვირეულის მიზანი იყო საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მონაწილე უნივერსიტეტებს შორის, როგორიცაა: Erasmus +-ის საერთაშორისო სტუდენტური და ადმინისტრაციული მობილობები, საერთაშორისო კვლევის ხელშეწყობა და ა.შ.

მობილობის ფარგლებში ასევე გათვალისწინებული იყო ვორკშოპი კურიკულუმის დიზაინის პერსონალიზაციასთან დაკავშირებით. რაც ფასდაუდებელი გამოცდილება აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც მოწვეული ლექტორისათვის.

საერთაშორისო კვირეული, თავისი მასშტაბით და თემატიკით იყო საუკეთესო შესაძლებლობა ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებისა და გაზიარებისათვის.’’